www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საწარმოთა საქმიანობის შედეგები

2022 წელი
III კვარტალი

05.12.2022 | www.geostat.ge

05.12.2022

საწარმოთა საქმიანობის შედეგები

(2022 წლის III კვარტალი)

2022 წლის III კვარტალში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა 17.4 პროცენტით გაიზარდა და 47.5 მილიარდი ლარი შეადგინა.

ზრდის ტენდენციით ხასიათდება ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების მაჩვენებელიც. 2022 წლის III კვარტალში მისი მოცულობა 18.9 მილიარდი ლარით განისაზღვრა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 25.8 პროცენტით მეტია:

ბიზნეს სექტორის ბრუნვისა და პროდუქციის გამოშვების მოცულობა კვარტლების მიხედვით



05.12.2022

2022 წლის III კვარტალში ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობის 61.7 პროცენტი მოდის მსხვილ ბიზნესზე, 16.5 პროცენტი - საშუალოზე, ხოლო 21.8 პროცენტი - მცირე ბიზნესზე.

მცირედით განსხვავებული მდგომარეობაა პროდუქციის მთლიანი გამოშვების შემთხვევაში: მსხვილ ბიზნესზე მოდის პროდუქციის გამოშვების 45.9 პროცენტი, საშუალოზე - 23.9 პროცენტი, ხოლო მცირე ბიზნესზე - 30.1 პროცენტი.

ბიზნეს სექტორის ბრუნვისა და პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლები საწარმოთა ზომების მიხედვით, 2022 წლის III კვარტალი



2022 წლის III კვარტალში საწარმოთა მიერ განხორციელებულმა საქონლისა და მომსახურების მთლიანმა ყიდვებმა 28.0 მლრდ. ლარი (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 27.4 პროცენტით მეტი), ხოლო გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვებმა - 16.8 მლრდ. ლარი (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 22.6 პროცენტით მეტი) შეადგინა.

2022 წლის III კვარტალში ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 723.3 ათასი კაცით განისაზღვრა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 6.7 პროცენტით მეტია. დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობიდან 42.5 პროცენტი ქალია, ხოლო 57.5 პროცენტი - კაცი.

ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა
კვარტლების მიხედვით



დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის 42.2 პროცენტი მსხვილ ბიზნესზე მოდის, 22.5 პროცენტი - საშუალოზე, ხოლო 35.3 პროცენტი - მცირე ბიზნესზე.

საანგარიშო პერიოდში, დაქირავებულთა მთლიანმა რაოდენობამ 683.1 ათასი კაცი შეადგინა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 5.5 პროცენტით მეტი), ხოლო საწარმოთა მთლიანი დანახარჯები პერსონალზე - 3 579.8 მლნ. ლარით განისაზღვრა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 23.7 პროცენტით მეტი).

2022 წლის III კვარტალში, ბიზნეს სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი 1 714.2 ლარს გაუტოლდა (გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 258.7 ლარით), ხოლო მათ შორის ქალების ხელფასმა 1 317.7 ლარი შეადგინა (გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით გაიზარდა 174.2 ლარით).

საწარმოთა ზომის მიხედვით საშუალო თვიური ხელფასი შემდეგნაირია:

- მსხვილი ბიზნესი – 1 794.4 ლარი
- საშუალო ბიზნესი – 1 955.2 ლარი
- მცირე ბიზნესი – 1 420.4 ლარი.

05.12.2022

2022 წლის III კვარტალში ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობის სტრუქტურაში ყველაზე მაღალი წილი - 38.5 პროცენტი მოდის ვაჭრობის (ავტომობილების და მოტოციკლების რემონტის ჩათვლით) დარგზე, მეორე ადგილზეა ხელოვნება, გართობა და დასვენება 28.6 პროცენტიანი წილით, შემდეგ მოდის დამამუშავებელი მრეწველობა - 9.5 პროცენტიანი წილით, მშენებლობა - 6.3 პროცენტიანი წილით, ტრანსპორტი და დასაწყობება - 5.2 პროცენტიანი წილით, ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება - 2.5 პროცენტიანი წილით, ხოლო 9.5 პროცენტი დანარჩენ დარგებზე ნაწილდება:

ბიზნეს სექტორის ბრუნვის სტრუქტურა,
2022 წელი III კვარტალი



05.12.2022

2022 წლის III კვარტალში ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვებაში პირველ და მეორე ადგილებს იკავებს დამამუშავებელი მრეწველობა (22.7 პროცენტი) და ვაჭრობა (19.4 პროცენტი), შემდეგ მოდის მშენებლობა (17.1 პროცენტი) და ტრანსპორტი და დასაწყობება (9.4 პროცენტი), ხოლო დანარჩენ დარგებს სტრუქტურაში 31.5 პროცენტიანი წილი უჭირავს.

ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების სტრუქტურა, 2022 წელი III კვარტალი



2022 წლის III კვარტალში დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით ბიზნეს სექტორში ვაჭრობის (საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი), დამამუშავებელი მრეწველობისა და ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქმიანობების დარგები ლიდერობენ შესაბამისად, 27.9, 12.7 და 10.1 პროცენტიანი წილებით. სტრუქტურაში მნიშვნელოვანი წილი მოდის აგრეთვე მშენებლობის (8.6 პროცენტი), ტრანსპორტისა და დასაწყობების (8.1 პროცენტი), ინფორმაცია და კომუნიკაციის (5.5 პროცენტი) და განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობების (5.2 პროცენტი) დარგის საწარმოებზეც:

ბიზნეს სექტორის დასაქმებულთა რაოდენობის სტრუქტურა, 2022 წლის III კვარტალი



ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის განაწილება სქესისა და ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:



05.12.2022

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ბიზნეს სექტორის ბრუნვის მაჩვენებლების ცვლილება - 2022 წლის III კვარტალი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:

ბიზნეს სექტორის ბრუნვა
ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

ბრუნვა (მლნ. ლარი) NACE REV. 2	2021 წლის III კვარტალი	2022 წლის III კვარტალი	2022 წლის III კვარტლის ზრდის ტემპი 2021 წლის III კვარტალთან შედარებით
საქმიანობის სახეების მიხედვით - სულ	**40 492.7**	**47 538.1**	**117.4**
სოფლის სატყეო და თევზის მეურნეობა	153.7	199.7	130.0
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	313.9	348.8	111.1
დამამუშავებელი მრეწველობა	4 014.7	4 492.5	111.9
ელექტროენერგიის აირის ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	1 164.8	1 183.0	101.6
წყალმომარაგება; კანალიზაცია ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	96.2	110.6	115.0
მშენებლობა	2 338.6	2 975.5	127.2
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	14 783.1	18 299.6	123.8
ტრანსპორტი და დასაწყობება	1 714.6	2 464.8	143.8
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	564.4	794.9	140.8
მათ შორის:			
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	274.2	366.3	133.6
საკვებით და სასმელებით მომსახურება	290.2	428.6	147.7
ინფორმაცია და კომუნიკაცია	614.4	1 164.3	189.5
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	404.6	473.5	117.0
პროფესიული სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	426.4	485.1	113.8
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	296.1	431.9	145.8
განათლება	81.7	90.4	110.7
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	356.7	358.4	100.5
ხელოვნება გართობა და დასვენება	13 131.9	13 613.8	103.7
სხვა სახის მომსახურება	36.9	51.3	139.0

05.12.2022

შემდეგი ცხრილი ასახავს ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლების ცვალებადობას 2022 წლის III კვარტალში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:

ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვება
ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

პროდუქციის გამოშვება (მლნ. ლარი) NACE REV. 2	2021 წლის III კვარტალი	2022 წლის III კვარტალი	2022 წლის III კვარტლის ზრდის ტემპი 2021 წლის III კვარტალთან შედარებით
საქმიანობის სახეების მიხედვით - სულ	**15 017.5**	**18 886.9**	**125.8**
სოფლის სატყეო და თევზის მეურნეობა	149.4	202.6	135.6
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	306.7	358.9	117.0
დამამუშავებელი მრეწველობა	3 631.9	4 278.7	117.8
ელექტროენერგიის აირის ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	662.1	777.5	117.4
წყალმომარაგება; კანალიზაცია ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	104.9	120.0	114.4
მშენებლობა	2 528.0	3 229.1	127.7
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	2 899.5	3 659.1	126.2
ტრანსპორტი და დასაწყობება	1 239.8	1 773.6	143.1
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	569.7	792.4	139.1
მათ შორის:			
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	280.0	363.8	129.9
საკვებით და სასმელებით მომსახურება	289.8	428.6	147.9
ინფორმაცია და კომუნიკაცია	576.4	1 126.7	195.5
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	405.7	459.2	113.2
პროფესიული სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	369.9	426.0	115.2
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	218.5	282.2	129.1
განათლება	89.6	96.7	107.9
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	647.4	561.1	86.7
ხელოვნება გართობა და დასვენება	582.7	694.2	119.1
სხვა სახის მომსახურება	35.4	48.9	138.3

05.12.2022

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობის მაჩვენებლების ცვლილება 2022 წლის III კვარტალში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:

ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა
ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

დასაქმებულთა რაოდენობა (კაცი) NACE REV. 2	2021 წლის III კვარტალი	2022 წლის III კვარტალი	2022 წლის III კვარტლის ზრდის ტემპი 2021 წლის III კვარტალთან შედარებით
საქმიანობის სახეების მიხედვით - სულ	**678 037**	**723 341**	**106.7**
სოფლის სატყეო და თევზის მეურნეობა	11 500	11 999	104.3
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	11 788	12 327	104.6
დამამუშავებელი მრეწველობა	86 465	92 065	106.5
ელექტროენერგიის აირის ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	15 372	15 129	98.4
წყალმომარაგება; კანალიზაცია ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	14 528	14 778	101.7
მშენებლობა	62 596	62 201	99.4
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	185 869	201 487	108.4
ტრანსპორტი და დასაწყობება	54 282	58 881	108.5
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	34 917	37 555	107.6
მათ შორის:			
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	14 862	15 044	101.2
საკვებით და სასმელებით მომსახურება	20 055	22 511	112.2
ინფორმაცია და კომუნიკაცია	29 605	39 990	135.1
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	18 626	19 523	104.8
პროფესიული სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	23 021	23 180	100.7
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	20 881	21 852	104.7
განათლება	16 614	16 708	100.6
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	72 705	73 128	100.6
ხელოვნება გართობა და დასვენება	11 813	14 690	124.4
სხვა სახის მომსახურება	7 454	7 847	105.3

რეგიონების მიხედვით მთლიან ბრუნვაში ლიდერობს ქ. თბილისი და სხვა რეგიონები შემდეგი თანმიმდევრობით:

- ქ. თბილისი – 76.6 პროცენტი
- აჭარის ა.რ. – 6.4 პროცენტი
- ქვემო ქართლი – 4.4 პროცენტი
- იმერეთი – 4.2 პროცენტი
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 2.1 პროცენტი.

რეგიონების მიხედვით პროდუქციის მთლიან გამოშვებაში ლიდერობს ასევე ქ. თბილისი და სხვა რეგიონები შემდეგი თანმიმდევრობით:

- ქ. თბილისი – 63.6 პროცენტი
- აჭარის ა.რ. – 9.0 პროცენტი
- ქვემო ქართლი – 6.8 პროცენტი
- იმერეთი – 7.0 პროცენტი
- მცხეთა-მთიანეთი – 3.1 პროცენტი
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 3.0 პროცენტი.

ქვემოთ მოცემული გრაფიკი ასახავს რეგიონების (ქ. თბილისის გარდა) მიხედვით ბრუნვასა და პროდუქციის გამოშვებას (მლნ. ლარი):



დასაქმებულთა რაოდენობა რეგიონების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

- ქ. თბილისი – 65.1 პროცენტი
- აჭარის ა.რ. – 9.1 პროცენტი
- იმერეთი – 7.0 პროცენტი
- ქვემო ქართლი – 5.7 პროცენტი
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 3.4 პროცენტი.

ქვემოთ მოცემული გრაფიკი ასახავს ცალკეულ რეგიონში დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის განაწილებას სქესის მიხედვით:



შენიშვნები

1. სტატისტიკურმა გამოკვლევამ არ მოიცვა:

- საქმიანობის სექტორები K, O, T, U
- 47.8 (საცალო ვაჭრობა ფარდულებში და ბაზრობებზე)

2. გამოკვლეული საწარმოები კლასიფიცირდებიან:

- ძირითადი საქმიანობის შესაბამისად,
- ფაქტიური მისამართის შესაბამისად.

3. ადგილობრივი საქმიანობის სახის ერთეულის, როგორც სტატისტიკური ერთეულის შემოღებამდე ქ. თბილისში ჩართულია რამოდენიმე მსხვილი საწარმო:

1. სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“
2. შპს „საქართველოს ფოსტა“
3. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“
4. სს „სილქნეტი“
5. სს „საქართველოს რკინიგზა“
6. სს „ენერგო-პრო ჯორჯია“
7. სს „საქენერგორემონტი“
8. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ და ა.შ.

რელიზში გამოყენებულია **ეკონომიკური საქმიანობის სახეების** შემდეგი **კლასიფიკაცია: ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკაცია** (ეფუძნება ევროპულ სტანდარტს NACE rev.2) სექციების დასახელებები

A	„სოფლის სატყეო და თევზის მეურნეობა“
B	„სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება“
C	„დამამუშავებელი მრეწველობა“
D	„ელექტროენერგიის აირის ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება“
E	„წყალმომარაგება; კანალიზაცია ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები“
F	„მშენებლობა“
G	„საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი“
H	„ტრანსპორტი და დასაწყობება“
IV	„განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები“
J	„ინფორმაცია და კომუნიკაცია“
K	„საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები“
L	„უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები“
M	„პროფესიული სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები“
N	„ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები“
O	„სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება“
P	„განათლება“
Q	„ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები“
R	„ხელოვნება გართობა და დასვენება“
S	„სხვა სახის მომსახურება“
T	„შინამეურნეობების როგორც დამქირავებლის საქმიანობები; არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის“
U	„ექსტერიტორიული ორგანიზაციების და ორგანოების საქმიანობები“

წყარო: საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევა (კვარტალური)

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:
ალექსანდრე არაბული, ტელ: 2 36 72 10 (200) E-mail: aarabuli@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020) E-mail: mkavelashvili@geostat.ge